ზოგადი მიმოხილვა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში

2018 წელს, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (პუი) სოფლის მეურნეობაში შეადგინა 15.9 მლნ აშშ დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი პუი 2018 წელს შემცირდა 2017 წელთან შედარებით, პუი სოფლის მეურნეობის სექტორში მნიშვნელოვნად გაიზარდა (28.2%-ით). 2018 წელს, ყველაზე მაღალი პუი სოფლის მეურნეობაში დაფიქსირდა მეორე კვარტალში, ხოლო პირველ კვარტალში დაფიქსირდა მცირე ოდენობით კაპიტალის გადინება (უარყოფუთი პუი), რასაც შემდეგ მოჰყვა მნიშვნელოვანი ზრდა მომდევნო კვარტლებში. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზრდება, სოფლის მეურნეობაში პუი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სექტორში წარმოების ზრდისთვის.





წყარო: საქსტატი, 2019

ტრადიციულად, პუი სოფლის მეურნეობაში ძალიან დაბალია სხვა სექტორებთან შედარებით. ბოლო ათწლეულის მანძილზე სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს პუი-ში მერყეობდა 0.5%-დან 1.5%-მდე. გამონაკლისი იყო 2009 წელი, როდესაც სოფლის მეურნეობის წილი შედარებით მაღალი იყო. 2009 წელს 2008-სთან შედარებით, სოფლის მეურნეობის წილმა მთლიან პუი-ში შეადგინა 3.4% და თან გაორმაგდა აბსოლუტური მნიშვნელობით (10.6 მლნ. აშშ დოლარი იყო 2008 წელს და 22.6 მლნ. აშშ დოლარი - 2009 წელს). 2018 წელს პუი-მ სოფლის მეურნეობაში შეადგინა მთლიანი პუი-ს 1,3%. პუი-ს კუთხით, დაბალი ინტერესი სექტორის მიმართ გამოწვეულია მიწასთან დაკავშირებული შეზღუდვებით, მოძველებული ტექნოლოგიებით, არაკომერციული მწარმოებლების სიმრავლით, საკონტრაქტო ურთიერთობების ნაკლებობითა და დარგის სპეციალისტების სიმწირით.



წყარო: საქსტატი, 2019

ფასები

ადგილობრივი ფასები

წინა თვესთან შედარებით, ფასების დონე საქართველოში მცირედით გაიზარდა; 2019 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 1.0%-ით გაიზარდა 2019 წლის თებერვალთან შედარებით. 2018 წლის მარტთან შედარებით კი, სფი 3.7%-ით გაიზარდა.

ფასების პროცენტული ცვლილება 2019 წლის მარტში 2019 წლის თებერვალთან შედარებით



წინა თვესთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 1.3%-ით გაიზარდა, რამაც სფი 0.4 პროცენტული პუნქტით გაზარდა. სურსათის ფასების ცვლილებაზე ძირითადი გავლენა შემდეგმა ჯგუფებმა მოახდინა:

ბოსტნეული და ბაღჩეული (8.2%↗)

ხილი და ყურძენი (5.1%↗)

რძე, ყველი და კვერცხი (-1.1%↙)

წყარო: საქსტატი, 2019

წინა წელთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.8%-ით, რამაც სფი 1.5 პროცენტული პუნქტით გაზარდა.

ფასების პროცენტული ცვლილება 2019 წლის მარტში 2018 წლის მარტთან შედარებით



2019 წლის მარტში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სურსათის შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:

ბოსტნეული და ბაღჩეული (19.8%↗)

თევზეული (12.9%↗)

ხილი და ყურძენი (-23.2%↙)

წყარო: საქსტატი, 2019

უფრო ვრცლად ბოსტნეულის ფასებზე

2019 წლის მარტში ბოსტნეულის კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასები წინა თვესთან შედარებით 8.2%-ით, ხოლო წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 19.8%-ით გაიზარდა. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2019 წლის მარტში ყველაზე მეტად კომბოსტოს (166%), მწვანილისა (70%) და ხახვის (61%) ფასები გაიზარდა.
ბოსტნეულის ფასების ზრდის მიზეზი შესაძლოა მიწოდების შემცირება იყოს. ვაჭრობის სტატისტიკის მიხედვით, ბოსტნეულის იმპორტის როგორც ღირებულება, ასევე რაოდენობაც შემცირდა. 2019 წლის მარტში ბოსტნეულის იმპორტის ღირებულებამ 3.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მარტის მაჩვენებელს - 5.1 მილიონ აშშ დოლარს, 28%-ით ჩამორჩება. იმავე პერიოდში, ბოსტნეულის იმპორტის რაოდენობა 36%-ით შემცირდა, 16.3 ათასი ტონიდან 10.4 ათას ტონამდე. მეორე მხრივ, 2019 წლის მარტში ბოსტნეულის ექსპორტის რაოდენობა წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა (2.4 ატასი ტონიდან 2.7 ათას ტონამდე). ჩვეულებრივ, ორივეს - იმპორტის შემცირებას, ისევე როგორც ექსპორტის ზრდას, შესაძლოა მიწოდების შემცირება და ბოსტნეულის ფასების ზრდა გამოეწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატმა გამოაქვეყნა წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2018 წელს ქვეყანაში ბოსტნეულის წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა. როგორც ჩანს, ადგილობრივი წარმოების ზრდა საკმარისი არ აღმოჩნდა ბოსტნეულის ფასებზე ვაჭრობის ეფექტების დასაბალანსებლად.



წყარო: საქსტატი, 2019

საერთაშორისო ფასები

2019 წლის მარტში საერთაშორისო ფასებმა დაღმავალი ტრენდი შეინარჩუნა. სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2018 წლის მარტთან შედარებით 3.6%-ით შემცირდა. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: მცენარეული ზეთი (-18.6%), ხორცი (-4.9%), შაქარი (-2.8%) და მარცვლეული (-0.4%).

2018 წლის მარტთან შედარებით რძის პროდუქტების ფასების ინდექსი 3.5%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რძის ფხვნილისა და ყველის ფასების ზრდამ, რომელიც ოკეანეთის ქვეყნებში შემცირებულ წარმოებასა და შესაბამისად, მათი ექსპორტის შემცირების მოლოდინითაა განპირობებული. უმნიშვნელოდ შემცირდა მოხდილი რძის ფხვნილის ფასები, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა რძის პროდუქტების ფასების ზრდის დასაბალანსებლად.



წყარო: FAO, 2019

ვაჭრობის სტატისტიკა

2019 წლის მარტში საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტები) დაახლოებით 53 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში საქართველოს ექსპორტის მთლიანი ღირებულების 21% იყო და თითქმის 2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2018 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტს, მისმა ღირებულებამ 2019 წლის მარტში 90 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა და ამავე თვეში საქართველოს მთლიანი იმპორტის თითქმის 15%-ს შეადგენდა. გასული წლის მარტთან შედარებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი მესამედითაა შემცირებული.





წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი

2019 წელი *შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის* (HS კოდი 17XX) იმპორტის მკვეთრი კლებით დაიწყო, რასაც თან ახლდა იმავე სასაქონლო ჯგუფში ექსპორტის უმნიშვნელო ზრდა (+0.06 მლნ. აშშ დოლარი 2019 წლის 1-ელ კვარტალში 2018 წლის 1-ელ კვარტალთან შედარებით). შედეგად, ბოლო 3 თვეში *შაქრითა და საკონდიტრო ნაწარმით* საერთაშორისო ვაჭრიბის დეფიციტი საქართველოში 16.4 მლნ. აშშ დოლარიდან 7.5 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა. შიგაჯგუფურ სასაქნოლო დონეზე, *შაქრის* (HS კოდი 1701) იმპორტი მიმდინარე წელს ყოველთვიურად იკლებდა (1.5 მლნ. აშშ დოლარი იანვარში და 1.1 მლნ. აშშ დოლარი მარტში) და 2019 წლის პირველ კვარტალში ჯამურმა იმპორტმა 2018 წლის ანალოგიური მაჩვენებლის (11.7 მლნ. აშშ დოლარი) მხოლოდ მესამედი, 3.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი კლება შეინიშნებოდა *კაკაკოს არშემცველი, შაქრის საკონდიტრო ნაწარმის* (HS კოდი 1704) იმპორტშიც. აღნიშნული პროდუქტების შესაძენად 2019 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით, გასული წლის 1-ელ კვარტალთან შედარებით საქართველომ საერთაშორისო ბაზარზე 22%-ით ნაკლები თანხა დახარჯა (4.6 მლნ. აშშ დოლარი 2018 წლის 1-ელ კვარტალში და 3.6 მლნ. აშშ დოლარი 2019 წლის 1-ელ კვარტალში). თუმცა თვის ჭრილში იმპორტი ამ ჯგუფში იზრდება (0.9 მლნ. აშშ დოლარი 2019 წლის იანვარში და 1.5 მლნ. აშშ დოლარი 2019 წლის მარტში).

რაც შეეხება საქართველოდან *შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის* ექსპორტს, ბოლო 3 თვეში მისმა ჯამურმა ღირებულებამ 0.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. უფრო დეტალური, ყოველთვიური დინამიკა ნაჩვენებია გრაფიკზე.



წყარო: საქსტატი, 2019

პოლიტიკის მიმოხილვა

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და ევროკავშირის მხარდაჭერით სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვის პროექტს იწყებს

პროექტი ორ ძირითად მიმართულებას - სერტიფიცირების სისტემის და საკანონმდებლო ბაზის დახვეწას და სანერგეების შესაძლებლობლების გაძლიერებას მოიცავს, მათ შორის, ნერგის მწარმოებელთა ასოციაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობას და სანერგეების წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ სანერგე მეურნეობის კვალიფიციურობის დადგენა, რომელიც სარგავი მასალის სერტიფიცირების წინაპირობაა, 2017 წელს დაიწყო. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის წარმომადგენლებმა საველე ინსპექტირების შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 85 სანერგეს კვალიფიციური სანერგის სტატუსი მიანიჭეს.

მეტი ინფორმაციისთვის ნახეთ: https://commersant.ge/ge/post/sargavi-masalis-sertificirebis-danergvis-proeqti-iwyeba

სოფლის მეურნეობის სფეროში კვიპროსთან ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა და კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ნიკოს ხრისტოდულიდისმა სოფლის მეურნეობის სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანია, უზრუნველყოს მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სფეროში ერთობლივი საქმიანობისა და პროექტების განხორციელებას.

მეტი ინფორმაციისთვის ნახეთ: http://mepa.gov.ge/ge/News/Details/9455/

აისეტის კვლევითი ინსტიტუტი –
აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
დავითი ჟორჟოლიანი d.zhorzholiani@iset.ge
ნინო კაკულია n.kakulia@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge